ოქმი N12

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 27 სექტემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 28 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე; თანამომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე; თანამომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის N36 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია, ა. ხუნჯუა, მ. ჭოხონელიძე)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის ერთიანი დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-2 საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ინსტიტუტს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. რეგლამენტში ცვლილება ძირითადად შეეხება პეტიციასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს. რაც შეეხება „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2017 წლის 27 თებერვლის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტს, რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებების თანახმად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიის ბლანკში შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილება. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი სახით მისი დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია, მ. ჭოხონელიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N34 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ე. ჯობავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია, მ. ჭოხონელიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N35 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის N36 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის N36 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 31 ივლისს მიღებულ იქნა N36 განკარგულება „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“. ზემო აღნიშნულ განკარგულებასთან დაკავშირებით, როგორც ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ასევე ქვეყნის მასშტაბით მუნიციპალიტეტის საკრებულოებს, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან მიეცა რეკონედაციები განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“. ზემო აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის N36 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი სახით მისი დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ნადარაია, მ. ჭოხონელიძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N40 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბიუროს გუშინდელ სხდომაზეც იყო მსჯელობა ამ საკითხთან დაკავშირებით, შპს „მაგთიკომისთვის“ ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით, საკრებულოს საწინააღმდეგო არაფერი აქვს, თუმცა პროცედურულად საკრებულო დღეს აძლევს მერს თანხმობას ქონების იჯარის წესით გაცემაზე, როცა შპს „მაგთიკომს“ ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის გაყვანა უკვე დაწყებული აქვს, ნაწილობრივ დაქსელვა ოჯახებშიც განხორციელებულია. საკრებულომ თუ დღევანდელ სხდომაზე უარი უთხრა ნებართვაზე, მაშინ რა მოხდება? - დაინტერესდა სხდომის თავმჯდომარე.

აზრი გამოთქვეს: ზ. ბუკია ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - განმარტა, რომ საკრებულოს მხრიდან უარის შემთხვევაში, შპს „მაგთიკომი“ შეაჩერებს სამუშაოებს ნებართვის გაცემამდე.

მ. ქარდავა - განაცხადა, რომ უფრო სწორი იქნებოდა, საკრებულოს ნებართვის გარეშე საერთოდ არ უნდა დაეწყოთ სამუშაოს შესრულება.

ლ. შამათავა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - გამომსვლელმა განმარტა, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემამდე ან სამუშაოების დაწყების შეთანხმებამდე, აუცილებელია დაინტერესებულ პირს საკუთრებაში გააჩნდეს ქონება ან სარგებლობის უფლებით ჰქონდეს ის გადაცემული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შპს „მაგთიკომის" მოთხოვნისა და მერის წინადადების საფუძველზე მერს საკრებულოსგან უნდა მიეღო თანხმობა ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ, რის შემდეგაც მერია უფლებამოსილია შეითანხმოს პროექტი მშენებლობის თაობაზე.

მ. ფილიპია - გამომსვლელი დაინტერესდა, საიჯარო ქირა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ თითოეულ ბოძზე საშუალოდ დაანგარიშებულია 2 (ორი) ლარის ოდენობით, რის საფუძველზე განისაზღვრა ეს თანხა?

ა. ვარდია - გამომსვლელმა განმარტა, რომ თანხა განისაზღვრა აუდიტის დასკვნის საფუძველზე და დასკვნა წარუდგინა საკრებულოს წევრებს (აუდიტის დასკვნა ოქმს თან ერთვის).

მ. ქარდავა - გამომსვლელის განცხადებით, შპს „მაგთიკომი" ინტერნეტისა და ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის გაყვანით სოლიდურ მოგებას იღებს, აქედან გამომდინარე თითო ბოძზე 2 (ორი) ლარის განსაზღვრა, ჯამში წელიწადში 1230 ლარს შეადგენს, რაც მისი აზრით ძალიან მიზერულია.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ უფრო სწორი იქნებოდა შპს „მაგთიკომს" სამუშაოები დაეწყო და მერიის მხრიდან შეთანხმება გაცემულიყო „მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის საკრებულოს მიერ მიღების შემდეგ.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მერიაში შევიდა შპს „მაგთიკომიდან" წერილი ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრებში არსებული გარე განათების ბოძებზე მაგთიკომის ინტერნეტისა და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის მიზნით იჯარის გაფორმების თაობაზე. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ იქნა წინადადება აუდიტის დასკვნის საფუძველზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის მიზნით, ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 615 ბოძი პირდაპირი

განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაეცეს შპს „მაგთიკომს“ და წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1230 ლარის ოდენობით, რაც თითოეულ ბოძზე საშუალოდ გაიანგარიშება 2 (ორი) ლარის ოდენობით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილ განკარგულების პროექტში შეტანილ იქნა გარკვეული კორექტირება, სხვა მხრივ პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 2 (მ. ჭოხონელიძე, კ. ნასარაია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N41 ოქმს თან ერთვის)

კენჭისყრის დასრულების შემდგომ სიტყვა ითხოვა საკრებულოს წევრმა მამუკა ჭოხონელიძემ (პარტია „ბაქრაძე, უგულავა - ევროპული საქართველო“)

მ. ჭოხონელიძე - გამომსვლელმა ისაუბრა გაზეთ „ხობის მოამბე“-სთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ მართალია უმრავლესობას ოფიციალურად არ ჰყავს საპრეზიდენტო კანდიდატი, მაგრამ მხარს უჭერს დამოუკიდებელ კანდიდატს ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს, გაზეთ „ხობის მოამბის“ ბოლო ნომერში დაიბეჭდა ს. ზურაბიშვილის მხარდამჭერი ინფორმაცია, როცა სხვა ოპოზიციურ საპრეზიდენტო კანდიდატებს ამის უფლება არ ეძლევათ. დაინტერესდა საპრეზიდენტო კანდიდატმა რეკლამისთვის თუ გადაიხადა თანხა ადგილობრივ ბიუჯეტში და განაცხადა, რომ წერილობით მოითხოვდა ინფორმაციას, გადახდილი იყო თუ არა გაზეთ „ხობის მოამბეში“ რეკლამის განთავსებისთვის თანხა. ამასთან მოითხოვა 2018 წლის 27 სექტემბრის საკრებულოს სხდომის ვიდეოჩანაწერი. გამომსვლელმა, ასევე ყურადღება გაამახვილა საოლქო კომისიაში თანამდებობის პირების მეუღლეების დანიშვნასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ მერიის და საკრებულოს თანამდებობის პირების ოჯახის წევრები არ უნდა ინიშნებოდნენ ასეთ პოზიციებზე, როცა ამდენი დაუსაქმებელი ადამიანია ქვეყანაში.

მ. ქარდავა - განმარტა, რომ გაზეთ „ხობის მოამბეში“ განთავსებულ რეკლამასთან დაკავშირებით, დეტალური ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ მერიის შესაბამის სამსახურს.

ე. ჯობავა - მიმართა მ. ჭოხონელიძეს და განაცხადა, რომ მას ჰქონდა საკუთარი აზრის დაფიქსირების უფლება, თუმცა ის არგუმენტირებული უნდა იყოს. უმრავლესობის მხრიდან არის მზაობა იმის თაობაზე, რომ ყველა საპრეზიდენტო კანდიდატს, ეს იქნება

უმრავლესობის მხრიდან მხარდაჭერილი თუ ოპოზიციის კანდიდატი, ყველა დონეზე შეუქმნან საარჩევნო პირობები, რომელსაც ადგილობრივი მთავრობა უპირობოდ ასრულებს.

დებატების დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დღეს სოხუმის დაცემიდან 25 წელი შესრულდა, აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი პატივის მიგების მიზნით საქართველოს სახელმწიფო დროშები დაშვებულ იქნა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და სთხოვა საკრებულოს წევრებს წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ აფხაზეთში დაღუპული გმირების ხსოვნისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2018 წლის 27 სექტემბრის სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ტარიელ ალექსანდრია
4. დავით ბერაია
5. თეა გელანტია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. თენგიზ აბაკელია
8. მერაბ ფილიპია
9. კახა ლატარია
10. მამუკა ჭოხონელიძე
11. ირაკლი ნადარაია
12. შადიმან ჭილაია
13. დავით ცინაძე
14. კონსტანტინე ნასარაია
15. იგორ გოგოლაძე
16. ლაშა ცატავა
17. აბელი ქირია
18. გენადი ქაძანაია
19. კახა მიქაბერიძე
20. მზია ლემონჯარია
21. გოჩა სიჭინავა
22. გია წულაია
23. ავთანდილ ხუნჯუა
24. აკაკი ხურცლავა
25. ნიკოლოზ ვეკუა
26. კობა გოქაძე
27. გოჩა ჯობავა
28. . მერაბ ნადარაია